## აფხაზეთის მთავრობის
## დადგენილება №14

2006 წლის 21 თებერვალი ქ. თბილისი

### აფხაზეთის სპორტული მომზადების ცენტრის საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. „სპორტული მომზადების ცენტრი" ჩამოყალიბდეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირად — „აფხაზეთის სპორტული მომზადების ცენტრი".
2. აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ (ს.კაკანაძე):

ა) განახორციელოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის— „აფხაზეთის სპორტული მომზადების ცენტრის" სახელმწიფო კონტროლი;

ბ) უზრუნველყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის — „აფხაზეთის სპორტული მომზადების ცენტრის" დებულების დამტკიცება და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნა.

3. აფხაზეთის ეკონომიკის სამინისტრომ (კ.კუჭუხიძე) საჯარო სამართლის იურიდიულ პირს — „აფხაზეთის სპორტული მომზადების ცენტრს" გადასცეს მის ბალანსზე არსებული სახელმწიფო ქონება უსასყიდლო უზუფრუქტის სახით.
4. დადგენილების შესრულებაზე კონტროლი უზრუნველყოს აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ (ს. ქეცბა).

**მთავრობის თავმჯდომარე ი. ალასანია**

**რეგისტრირებულია აფხაზეთის იუსტიციის დეპარტამენტში**

**სარეგისტრაციო კოდი 430210000320400000014**